



**შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი
(AGD)**

**პროდუქციის პასუხისმგებლიანი მართვის პროგრამა
მდგრადი განახლებადი ელექტროენერჯია**

დოკუმენტი დამტკიცებულია კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2025

სარჩევი

შესავალი	3
მიზანი და მოქმედების არეალი	3
პროდუქციის განსაზღვრა	4
მმართველობა და პასუხისმგებლობები	4
მონიტორინგი, მონაცემთა მართვა და გადამოწმება	5
გარემოსდაცვითი შესრულება	5
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების შესრულება	7
სოციალური ნორმების შესრულება	8
უწყვეტი გაუმჯობესება	8
პროგრამის გადახედვა და განახლება	9
დანართი #1: პასუხისმგებლიანი განახლებადი ელექტროენერჯის მახასიათებლები	10

შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი **პროდუქციის პასუხისმგებლიანი მართვის პროგრამა** **მდგრადი განახლებადი ელექტროენერჯია**

შესავალი

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ (AGD) დაარსდა 2013 წლის ივნისში, რომელიც ფლობს და ახორციელებს ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს საქართველოში. კომპანიამ, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ლახამზე, განავითარა ლახამი ჰესების კასკადი, რომელიც მოიცავს ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურებს. ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე სადგურების საერთო დადგმული სიმძლავრე შეადგენს ჯამში 16 მეგავატს და წლიურად საშუალოდ 80 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებენ. ლახამი ჰესები დაკავშირებულია ეროვნულ ქსელთან 35/6 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

„ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს თანამფლობელები არიან: შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III – კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი (CCEH), რომელიც არის საერთაშორისო საინვესტიციო ჰოლდინგური კომპანია, დაარსებული 2015 წელს, დასავლური ინვესტორების მონაწილეობით, და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში.

შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი - რომელიც დაარსდა 2013 წელს და სპეციალიზდება საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების განვითარებაზე. შპს ენერჯი სოლუშენსი – რომელიც დაარსდა 2014 წელს, ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და განვითარებაზე, ასევე ჰიდროენერგეტიკის სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე.

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“, როგორც განახლებადი ენერჯის მწარმოებელი, აღიარებს, რომ მისი ძირითადი პროდუქტი წარმოადგენს არა მხოლოდ ელექტროენერჯიას, არამედ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრინციპების დაცვით წარმოებულ განახლებად ელექტროენერჯიას.

ამ მიზნით, კომპანია იყენებს პროდუქციის მართვის სისტემურ მიდგომას, რათა უზრუნველყოს ელექტროენერჯის გენერაციის პასუხისმგებლიანი მართვა ოპერირების სრული ციკლის განმავლობაში წყლის რესურსების გამოყენებიდან და ბიომრავალფეროვნების დაცვიდან დაწყებული, ოპერირების საიმედოობით, გამჭვირვალობითა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით დასრულებული.

მიზანი და მოქმედების არეალი

მოცემული პროგრამა განსაზღვრავს, თუ როგორ მართავს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ საკუთარი ელექტროენერჯის პროდუქტის მდგრადობის პროფილს და უზრუნველყოფს, რომ განახლებადი ენერჯის გენერაცია მიზანმიმართულად უწყობდეს ხელს საქართველოში დაბალემისიანი ეკონომიკის განვითარებას და კლიმატური მიზნების მიღწევას.

პროგრამა აყალიბებს მკაფიო და სტრუქტურირებულ ჩარჩოს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მიერ გენერირებული ელექტროენერჯის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მახასიათებლების განსაზღვრის, მართვისა და გამჭვირვალე კომუნიკაციისთვის. მისი მოქმედება ვრცელდება ლახამი ჰესის ოპერირებასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობაზე, მათ შორის ელექტროენერჯის გენერაციაზე, წყლის რესურსების გამოყენებაზე, ბიომრავალფეროვნების დაცვაზე, გარემოსდაცვითი კონტროლის მექანიზმებზე, აგრეთვე განახლებადი ენერჯის ატრიბუტების სერტიფიცირებასა და გადაცემაზე.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებისა და მინისტრის ბრძანება № ი-911-ის მოთხოვნების, აგრეთვე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

პროდუქციის განსაზღვრა

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ საკუთარ ძირითად პროდუქტად განსაზღვრავს ლახამი ჰესის მიერ გენერირებულ განახლებად ელექტროენერგიას, რომელიც ხასიათდება დადასტურებული გარემოსდაცვითი ატრიბუტებით. აღნიშნული ელექტროენერგიის მდგრადობა და პასუხისმგებლიანი ხასიათი უზრუნველყოფილია შემდეგი კომპონენტების მეშვეობით:

- განახლებადი ჰიდროენერგიის გენერაცია;
- განახლებადი ელექტროენერგიის გენერაციის მიკვლევადობის უზრუნველყოფა ავტომატიზებული აღრიცხვის სისტემების მეშვეობით, ჰიდროელექტროსადგურის მდგრადი და ეფექტიანი ოპერირება, მათ შორის რესურსების ოპტიმიზაცია და აქტივების გრძელვადიანი მართვა;
- გარემოსდაცვითი მთლიანობის უზრუნველყოფა გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დაცვით, კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) დანერგვით და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრინციპების განხორციელებით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში, მათ შორის შიდა, გარე და მარეგულირებელი მონიტორინგის სისტემების მეშვეობით;
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემების დანერგვა დასაქმებულების, კონტრაქტორებისა და ვიზიტორების დაცვის უზრუნველსაყოფად;
- სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა, მათ შორის ადგილობრივ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი კომუნიკაცია, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში წვლილის შეტანა მოქმედი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გზით;
- ოპერირების კონტროლის მექანიზმების განხორციელება, რომლებიც ამცირებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ზემოქმედებებს.

მმართველობა და პასუხისმგებლობები

მოცემული პროგრამის განხორციელება ინტეგრირებულია შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ კორპორაციული მმართველობის ჩარჩოში. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების ზედამხედველობას, მათ შორის გარემოსდაცვითი შესრულების, კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

პროგრამის ოპერაციული განხორციელება უზრუნველყოფილია შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მენეჯმენტის მიერ კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის (CCEH) კოორდინაციით.

CCEH-ის ოპერირების გუნდი ახორციელებს ელექტროენერგიის გენერაციის პროცესებზე ოპერაციულ ზედამხედველობას, მათ შორის შესრულების მონიტორინგს, ტექნიკური საიმედოობის უზრუნველყოფასა და ოპერირების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და/ან შესაბამისი პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი შესრულების ზედამხედველობას, მათ შორის:

- გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ეკოლოგიური ხარჯისა და წყლის რესურსების გამოყენების მონიტორინგი;
- მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველყოფისა და მონიტორინგი;
- ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება;
- გარემოსდაცვითი დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება;
- გარემოსდაცვითი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანგარიშგების დაგეგმვა და მართვა;
- სოციალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანგარიშგების დაგეგმვა და მართვა;
- საჩივრების მართვის მექანიზმის განხორციელება (როგორც დაინტერესებულ მხარეთა, ისე დასაქმებულთა საჩივრები);
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინფორმაციის გასაჯაროებისა და სერტიფიცირების პროცესების მართვა და მონიტორინგი.

მენეჯმენტი უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური, ოპერირებასთან და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული მონაცემების თანმიმდევრულ აღრიცხვას, რეგულარულ გადახედვასა და სათანადო შენახვას, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობის შენარჩუნებას და საჭიროების შემთხვევაში გადამოწმების შესაძლებლობას.

მონიტორინგი, მონაცემთა მართვა და გადამოწმება

ოპერირების პროცესისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტიანობის მონიტორინგი უზრუნველყოფილია შემდეგი მექანიზმების მეშვეობით:

- ავტომატური დონმზომის მიერ დაფიქსირებული ყოველწუთიერი მონაცემები რეალურ დროში იტვირთება დაცულ Google Drive-ის პლატფორმაზე, რომელიც ოპერირების გუნდის მიერ უწყვეტ რეჟიმში კონტროლდება;
- პერიოდული შიდა და გარე ინსპექტირებები;
- მესამე მხარის ლაბორატორიული ანალიზები;
- მარეგულირებელი ორგანოების ზედამხედველობა და აუდიტები;
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გარე აუდიტები.

ყველა შესაბამისი მონაცემი სისტემურად აღირიცხება, ინახება და რეგულარულად გადაიხედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სიზუსტე, მიკვლევადობა და შესაბამისობა მარეგულირებელ და ანგარიშგების მოთხოვნებთან.

გარემოსდაცვითი და ოპერირების შესრულების მაჩვენებლები ექვემდებარება შიდა გადახედვას და შესაბამის შემთხვევებში, დამოუკიდებელ გადამოწმებას, რაც უზრუნველყოფს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს სანდო, თანმიმდევრული და უზრუნველყოფილი იყოს მისი გადამოწმების შესაძლებლობა.

გარემოსდაცვითი შესრულება

გარემოსდაცვითი მთლიანობა უზრუნველყოფილია ოპერირების მკაცრი კონტროლის მექანიზმებისა და მონიტორინგის სისტემების მეშვეობით. ეკოლოგიური ხარჯის მოთხოვნები განსაზღვრულია 0.18 მ³/წმ მოცულობით ლახამი 1-ისთვის და 0.27 მ³/წმ ლახამი 2-ისთვის, ხოლო 2025 წლის მონიტორინგის მონაცემები ადასტურებს ამ მარეგულირებელ ზღვრულ მაჩვენებლებთან მუდმივ შესაბამისობას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული ნაკადები უწყვეტ რეჟიმში მონიტორინგდება წყალაღების ნაგებობებზე დამონტაჟებული

ავტომატური გაზომვის სისტემების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ქვედა დინებაში არსებული ეკოსისტემების დაცვას.

ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესებზე მოწყობილი თევზსავლების შეფასდა კვარტალური ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში დამოუკიდებელი მესამე მხარის სპეციალისტების მიერ და დადასტურდა, რომ 2025 წლის განმავლობაში ისინი სრულად ფუნქციონირებდა და ინარჩუნებდა სტრუქტურულ გამართულობას. დამოუკიდებელი კვარტალური შეფასებების პარალელურად, ოპერირების გუნდი ახორციელებს ყოველკვირეულ ვიზუალურ ინსპექტირებებს, რათა უზრუნველყოს თევზსავლების შეუფერხებელი ფუნქციონირება. მონიტორინგის პროცესში განხორციელებული სავსე დაკვირვებები ადასტურებს თევზის გადაადგილების უწყვეტობას აღნიშნული ნაგებობების გავლით.

როგორც მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგური, ელექტროენერჯის გენერაციისთვის გამოყენებული წყალი გამოყენების შემდეგ უწყვეტად ბრუნდება მდინარეში მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების არსებითი ცვლილების გარეშე.

ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები მოიცავს ფუნქციონირებად თევზსავლების, უწყვეტ კვარტალურ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს, მაკრო ზოობენტოსის ნიმუშების აღებას, წყლის ხარისხის გაზომვებს და ნაკადულის კალმახის თვალების ეტაპზე ქვირითის ყოველწლიურ ჩაშვებას. მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, 2025 წელს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტმა“ განხორციელა 52,000 ერთეული ნაკადულის კალმახის თვალების ეტაპზე ქვირითის ჩაშვება.

მონიტორინგის შედეგებმა დაადასტურა კალმახის პოპულაციის 25%-ზე მეტი ზრდა, 2024 წელთან შედარებით, ხოლო მესამე კვარტალში ჩატარებული ელექტრო თევზჭერის კვლევის ფარგლებში დაფიქსირდა 43 ინდივიდი. მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ გარემოსდაცვითი პირობები ხელსაყრელია კალმახის პოპულაციის სტაბილური და სწრაფი განვითარებისათვის.

სასმელი წყლის გამოყენებაც ხორციელდება პასუხისმგებლიანი მიდგომით. 2025 წელს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტმა“ გააძლიერა შიდა რესურსების მონიტორინგი სასმელი წყლის მრიცხველის დამონტაჟებით (2025 წლის აგვისტო). აგვისტო-დეკემბრის მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირებულმა მოხმარებამ შეადგინა 134 მ³, ხოლო საშუალო თვიურმა მოხმარებამ - 26.8 მ³.

გარემოსდაცვითი კონტროლის მექანიზმები აქტიურად ხორციელდება ოპერირების ყველა ეტაპზე. 2025 წელს კომპანიის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა შემცირდა 10.3%-ით და შეადგინა 1,076 კგ (2024 წელს - 1,200 კგ). საანგარიშო პერიოდში სახიფათო ნარჩენების განთავსება არ განხორციელებულა; წარმოიქმნა 19 კგ სახიფათო ნარჩენი, რომელიც უსაფრთხოდ იქნა შენახული დროებითი შენახვის სპეციალურ ინფრასტრუქტურაში, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. აღნიშნული ნარჩენი მოიცავდა გამოყენებულ აბსორბენტებს, დანადგარების ზეთებისა და ლუბრიკანტების ნარჩენებს, ასევე სახიფათო ნივთიერებების შემცველ პრინტერის კარტრიჯებს.

2025 წელს ლახამი ჰესის მიერ თავიდან არიდებული სათბურის აირების ემისიების მოცულობა შეფასებულია დაახლოებით 10,925 tCO₂eq-ად. აღნიშნული შეფასება ასახავს იმ ემისიებს, რომლებიც წარმოიქმნებოდა ელექტროენერჯის ეკვივალენტური მოცულობის გენერაციის შემთხვევაში უფრო ემისია ინტენსიური წყაროებიდან. თავიდან არიდებული ემისიები გამოითვლება წლიური ელექტროენერჯის გენერაციისა და შესაბამისი ქსელის ემისიის ფაქტორების საფუძველზე და შეიძლება განსხვავდებოდეს ჰიდროლოგიური პირობებისა და ელექტროენერჯის გენერაციის სტრუქტურის ცვლილებების მიხედვით.

თავიდან არიდებული ემისიების გარდა, მპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ ახორციელებს სათბურის აირების ემისიების მონიტორინგს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. 2025 წლისთვის ლახამი ჰესის ემისიების პროფილი შემდეგია:

- პირდაპირი ემისიები (Scope 1): 41 tCO₂eq
- არაპირდაპირი ემისიები - შეძენილი ელექტროენერგიიდან (Scope 2): 0.1 tCO₂eq
- სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 3): 13 tCO₂eq

ემისიების საერთო მოცულობა რჩება დაბალ დონეზე, რაც ასახავს ჰიდროენერჯის განახლებად ბუნებას და საწვავსა და გარე ენერგორესურსებზე შეზღუდულ დამოკიდებულებას.

გარემოსდაცვითი შესრულება რეგულარულად განიხილება კომპანიის მმართველობის ჩარჩოს ფარგლებში, მათ შორის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერის ზედამხედველობით და მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის პერიოდული ანგარიშგების გზით, რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვით მიზნებთან და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს, რომ ელექტროენერჯის გენერაცია ინარჩუნებდეს ეკოსისტემების მთლიანობას და მინიმუმამდე ამცირებდეს გარემოზე ზემოქმედებას.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების შესრულება

მპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს როგორც პასუხისმგებელი განახლებადი ელექტროენერჯის გენერაციის განუყოფელ ნაწილს და განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს როგორც საკუთარი თანამშრომლების, ისე მიმდებარე თემების უსაფრთხოებას.

თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის კომპანია უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემებს, რომლებიც მხარდაჭერილია რეგულარული ტრენინგებით, ოპერირების პროცედურებითა და უწყვეტი მონიტორინგით. სამუშაო გარემო არის უსაფრთხო, ხოლო რისკები სისტემურად იდენტიფიცირდება, ფასდება და მინიმუმამდე მცირდება რეგულარული ინსპექტირებებისა და ზედამხედველობის მეშვეობით.

მიმდებარე თემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური კონტროლის მექანიზმებით, ისე ოპერირების პრაქტიკებით. მაღალი რისკის მქონე ინფრასტრუქტურა, მათ შორის წყლის მიმღები ნაგებობები, ელექტრული დანადგარები და გადამცემი ხაზები, დაცულია შემოღობვით, კონტროლირებადი დაშვებით, გამაფრთხილებელი ნიშნებითა და ზედამხედველობის სისტემებით. აღნიშნული ზომების ეფექტიანობა რეგულარულად მოწმდება, ხოლო ნებისმიერი ხარვეზი აღმოიფხვრება დაუყოვნებლივ.

დამატებით, ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები კონკრეტული რისკების სამართავად, როგორცაა წყლის დონის სწრაფი ცვალებადობა, ელექტრო დაზიანების საფრთხე და სეზონური პირობები. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება წინასწარი გაფრთხილებები, ვიზუალური კონტროლი და კომუნიკაცია ადგილობრივ წარმომადგენლებთან, რისკის ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნული მიდგომების შედეგად, მპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ უზრუნველყოფს, რომ მისი საქმიანობა არ ქმნიდეს მიუღებელ რისკებს თანამშრომლებისთვის, კონტრაქტორებისთვის და ადგილობრივი თემებისთვის.

სოციალური ნორმების შესრულება

მპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ მართავს სოციალურ შესრულებას ადგილობრივ თემებთან უწყვეტი და თამინდევრული ჩართულობის გზით, ასევე სტრუქტურირებული კომუნიკაციის უზრუნველყოფით სხვადასხვა არხის გამოყენებით, მათ შორის საჩივრების მართვის მექანიზმის მეშვეობით.

ვინაიდან ლახამი ჰესი გადავიდა სტაბილურ ოპერირების ფაზაში, მეზობელ თემთან, სოფელ ლახამთან, ყოველდღიური ურთიერთობის ინტენსივობა ბუნებრივად შემცირდა. თუმცა, ეს ასახავს მნიშვნელოვანი საკითხების არარსებობას და არა კომპანიის ჩართულობის შემცირებას. კომპანია მუდმივად ინარჩუნებს ღია, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომ კომუნიკაციის არხებს.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და/ან შესაბამისი პასუხისმგებელი პირი რჩება ძირითად საკონტაქტო პირად, ხოლო კომუნიკაციის სხვადასხვა არხი მუდმივად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კომპანია ასევე უზრუნველყოფს საჩივრების მართვის მექანიზმზე ხელმისაწვდომობას, რომლის მეშვეობითაც ყველა მიმართვა ფორმალურად რეგისტრირდება, ფასდება და განიხილება დროულად და გამჭვირვალედ.

2025 წელს დარეგისტრირდა და განიხილა სამი ოფიციალური საჩივარი: 1. სადაწნეო მილსადენის მიმდებარე კაკლის ხის დაზიანებასთან/გახმობასთან დაკავშირებით; 2. საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ბზარების შესახებ, რომელიც შემდგომ შეფასების შედეგად არ დაუკავშირდა ჰესის ოპერირებას; 3. ტურბინის დარბაზის გაგრილების სისტემის ხმაურთან დაკავშირებით, რომელიც მოგვარდა ხმაურის შემამცირებელი ნაგებობის მოწყობით.

ამასთან, მიღებულ იქნა ერთი არაფორმალური მიმართვა სოფელ ლახამის საბავშვო ბაღისგან, რომლის ფარგლებში კომპანიამ უზრუნველყო დაახლოებით 500 აშშ დოლარის ღირებულების საგანმანათლებლო სათამაშოების მიწოდება.

აღნიშნული დაბალანსებული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ოპერირების ეტაპზე ურთიერთობის ინტენსივობის შემცირების მიუხედავად, ლახამი ჰესი რჩება პასუხისმგებელიანი, ხელმისაწვდომი და შესაბამისობაშია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და სოციალური შესრულების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან.

უწყვეტი გაუმჯობესება

მპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ იღებს ვალდებულებას პროდუქციის მართვის პრაქტიკის უწყვეტ გაუმჯობესებაზე. კომპანია პერიოდულად ახორციელებს ოპერირების შესრულების, გარემოსდაცვითი კონტროლის მექანიზმებისა და, შესაბამის შემთხვევებში, სერტიფიცირების პროცესების გადახედვას, გაუმჯობესების შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს მარეგულირებელ ცვლილებებს, ტექნოლოგიურ პროგრესს და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის განვითარებას და იმართება კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) შესაბამისად.

საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები გამოვლენილი ხარვეზებისა და გადახრების აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის განახლებადი ელექტროენერჯის პროდუქტის გარემოსდაცვითი მთლიანობისა და სანდოობის შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში. აღნიშნული მიდგომა ასევე ეფუძნება დამოუკიდებელი მონიტორინგის გამოყენებას, სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ზედამხედველობის განხორციელებას და გარე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი შეფასებების შედეგად იდენტიფიცირებული რეკომენდაციების დანერგვას.

ამ ინტეგრირებული მიდგომის საფუძველზე, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ უზრუნველყოფს, რომ მისი ელექტროენერჯია იყოს არა მხოლოდ განახლებადი, არამედ მიკვლევადი, გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით კონტროლირებული და ოპერირების მხრივ საიმედო, რაც ერთდროულად ხელს უწყობს კლიმატური მიზნების მიღწევას და ეკოსისტემების მთლიანობის შენარჩუნებას.

მოცემული პროგრამა ექვემდებარება პერიოდულ გადახედვასა და განახლებას, რათა ასახავდეს მარეგულირებელ მოთხოვნებში, ოპერირების პირობებსა და განახლებადი ენერჯიის სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ ბაზრის მექანიზმებში მიმდინარე ცვლილებებს. განახლებები მტკიცდება კომპანიის მენეჯმენტის მიერ და შესაბამის პერსონალს მიეწოდება, მოქმედ სტანდარტებთან და შიდა პრაქტიკებთან მუდმივი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის გადახედვა და განახლება

მოცემული პროგრამა პერიოდულად გადაიხედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა:

- მარეგულირებელ მოთხოვნებთან;
- გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან;
- კორპორაციული მმართველობის ჩარჩოსა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემასთან (ESMS);
- ბაზრისა და სერტიფიცირების სფეროში მიმდინარე განვითარებებთან.

განახლებები მტკიცდება კომპანიის მმართველობის ჩარჩოს ფარგლებში და შესაბამის პერსონალს მიეწოდება.

დანართი #1: პასუხისმგებლიანი განახლებადი ელექტროენერჯის მახასიათებლები

არეალი	განხორციელება და შესრულება
ჰიდროენერჯის წყარო	ელექტროენერჯის გენერაცია ხორციელდება მხოლოდ მდინარის მოღინებაზე მომუშავე ჰიდროენერჯის გამოყენებით ლახამი ჰესი 1-ზე (6.5 მგვტ) და ლახამი ჰესი 2-ზე (9.5 მგვტ), საერთო დადგმული სიმძლავრით 16 მგვტ. აღნიშნული უზრუნველყოფს დაბალი ზემოქმედების მქონე განახლებად გენერაციას, დიდი მოცულობის წყლის დაგუბების გარეშე და მდინარის ბუნებრივი ღინების რეჟიმის შენარჩუნებით.
გენერაცია (კვტსთ)	2025 წელს ჰესმა ეროვნულ ქსელში გენერირება და მიწოდება განახორციელა 59,900,298 კვტსთ განახლებადი ელექტროენერჯის, რაც ეკვივალენტურია დაახლოებით 20,044 ადამიანის ელექტროენერჯით უზრუნველყოფისა.
ეკოლოგიური ხარჯის დაცვა	ეკოლოგიური ხარჯი სრულად შეესაბამებოდა ნებართვის მოთხოვნებს და შეადგენდა 0.18 მ ³ /წმ ლახამი 1-ისთვის და 0.27 მ ³ /წმ ლახამი 2-ისთვის. მონიტორინგი ხორციელდება ავტომატური გაზომვის სისტემებისა და კვარტალური ანგარიშგების მეშვეობით.
ბიომრავალფეროვნების დაცვა	ღონისძიებები მოიცავს თევზსავლებს წყალადების ნაგებობებზე, ნაკადულის კალმახის თვალების ეტაპზე ქვირითის ყოველწლიურ ჩაშვებას (52,000 ერთეული), კვარტალურ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს, წყლის ხარისხის მონიტორინგს, მაკრო ზოობენტოსის ნიმუშების აღებას და ოპერირების გუნდის მიერ ყოველკვირეულ ვიზუალურ ინსპექტირებებს. მონიტორინგის შედეგად დადასტურდა კალმახის პოპულაციის 25%-ზე მეტი ზრდა 2024 წელთან შედარებით და დაფიქსირდა 43 ინდივიდი ელექტრო თევზჭერის კვლევის ფარგლებში.
წყლის მართვა	ელექტროენერჯის გენერაციისთვის გამოყენებული წყალი გადამისამართება ტურბინებში და სრულად ბრუნდება მდინარის სისტემაში. სასმელი წყლის მრიცხველი დამონტაჟდა 2025 წლის აგვისტოში, ხოლო აგვისტო-დეკემბრის პერიოდში მოხმარებამ შეადგინა 134 მ ³ .
ოპერირების მდგრადობა	ელექტროენერჯის გენერაცია იმართება SCADA სისტემებზე და ავტომატიზებულ რეალურ დროში მონიტორინგზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ ოპერირებას ჰიდროლოგიურ და გარემოსდაცვით პირობებთან შესაბამისობაში.
გარემოსდაცვითი კონტროლი	გარემოსდაცვითი კონტროლის მექანიზმები მოიცავს ნარჩენების მართვის სისტემურ ღონისძიებებს, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების 10.3%-ით შემცირებას (1,076 კგ 2025 წელს) და 19 კგ სახიფათო ნარჩენის უსაფრთხო დროებით შენახვას მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იყო გარემოსდაცვით მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა.
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესრულება	შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და მიმდებარე თემების უსაფრთხოებას სტრუქტურირებული მართვის სისტემებით, რეგულარული ტრენინგებითა და მონიტორინგით. რისკები კონტროლდება ინფრასტრუქტურული დაცვის (შემოდობვა, შეზღუდული დაშვება, გამაფრთხილებელი ნიშნები, ზედამხედველობის სისტემები) და პრევენციული ღონისძიებების მეშვეობით. კონკრეტული რისკები, როგორცაა მაღალი ძაბვის ზემოქმედება, წყლის ღონის სწრაფი ცვალებადობა და სეზონური საფრთხეები, აქტიურად იმართება.
სოციალური შესრულება	ოპერირების ეტაპზე უზრუნველყოფილია პროპორციული ჩართულობა ადგილობრივ თემებთან. კომუნიკაციის არხები ხელმისაწვდომია, ხოლო საჩივრების მექანიზმი სრულად ფუნქციონირებს. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და/ან შესაბამისი პასუხისმგებელი პირი წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება მიზნობრივი ჩართულობა, მათ შორის კარდაკარ კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. ყველა მიმართვა ფორმალურად რეგისტრირდება, ფასდება და განიხილება დროულად და გამჭვირვალედ.